



№ 35—1917	წელ. მისთვის	ფასი
კვირა ენკენის. 3.	გამოცემისა	25 კ



† გიორგი მარსაბიძე

შ ე ს ხ მ ა

თქმული იქნა ქვეყანის საფლავზე მისი გარდაცვალებისათვის წლის შესრულების თავზე.

ბატონებო! ჩვენ და ჩვენთან ერთად მთელი საქრისტიანო დღეს დიდი მოწიწებით იხსენიებს ტრადიკულად დაღუპვას ისეთი შესანიშნვი პიროვნებისას, როგორც იყო იოანე ნათლისმცემელი. ოცი საუკუნე სრულდება, რაც ხსენებულ პიროვნებას თავი მოჰყვითა უგზურმა მტარვალმა მარტოდ მარტო იმიტომ, რომ იოანემ გაბედულად ამხილა ამ მტარვალს, მაშინდელ მეფეს, უსამართლობა, უზნეობა და უბატონსება. მიუხედავად ამოდენ საუკუნეთა მანძილისა ქრისტიანობა არ იფწყებს იოანეს სახელს, ყოველი წლის აგვისტოს ოცდაცხრა რიცხვს ქალი და კაცი თვალსაჩინო დგომიერებით ეამბორება ხმლით მოკვეთილ მისი თავის გამოხატულებას და ეს ასე იქნება, ვიდრე ქრისტიანობა იარსებებს. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე არის მუდმივი და დაუღუშებელი ხმა მალაღობი და დღე იმ უკვდავი ქრისტიანებისა, რომ ადამიანთა არსებობის ერთად ერთი საფუძველი სიმართლეა, ადამიანთა კაცობა მხოლოდ სიმართლეში იხატება, კაცი ის არის, ვინც სიმართლით ცხოვრობს, სიმართლეს ემსახურება და ყოველ წამს მზათა მსხვერპლად შეიწიროს სიმართლეს.

ასეთია აზრი დღევანდელი დღისა და შესანიშნავია, რომ სრული ათი წელიწადია, რაც ქართველობა სწორეთ ამ საგულისხმო დღეს თავს ვიყრით ამ დიდებული საფლავის გარშემო ამ გვარი საქციელით ვაღვიარებთ, რომ ქართველებსაც გვყავდა საკუთარი ნათლისმცემელი. ეს იყო დიდი ილია. ილია ჭავჭავაძეც, მსგავსად იოანე ნათლისმცემლისა, მტკიცე, მოურიდებელი და მდგარი მცველ-შქადაგებელი იყო სიმართლისა და სიმართლიანობისა. ყველგან და ყოველთვის ილია ჰქუხდა: მხოლოდ მშობელი მამაა, რომ თვითონ მოიკლებს ლუკმას და შვილს კი არ განაცდევინებს შიმშილს, მარტოდ მარტო მშობე-

ლი დედის ჯიგარია, რომ შვილს მტლედ დაედება და ასეთი დედამა ყოველი ქართველისათვის არის მისი სამშობლო, მისი მამული, დედამიწის ის ნაწილი, რომელზედაც ქართველი პირველად ისუნთქავს ჰაერს და ახელს თვალსო; ყოველი ქართველი თავს უნდა ევლებოდეს თავის სამშობლოს, თვითეული ჩვენგანი უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ მამულის საკეთილდღეოდ, ყოველ ქართველს უნდა ასულდგმულვებდეს უპირველესად სამშობლოს აყვავება, განვითარება, წინსვლა, სამშობლოს ფიზიკური, ქონებრივი, ზნეობრივი, გონებრივი და სოციალურ-პოლიტიკური გაძლიერებაო.

სამწუხაროდ, საქართველოს, როგორც რუსეთის ნაწილს, თავზე აჯდა სიმართლის მოძულე და მდევნელი თვითმპყრობელი იროდი, რომელმაც თავისი უგვანო რეჟიმით იმდენად დაგვამარმავა, გონება დაგვიხშო და ქვედაგვიბნია, რომ დაგვიკარგა ილიას ნათელი მოძღვრების შეგნების უნარი და ამ ქართველთა სიამაყის უქმფენი ფართო შუბლი შეგვანგრევინა უწყალო ტყვეთა!

მაგრამ სიმართლე ხელშეუხებელი და უკვდავია, ამასთან იგი ისეთი თვისებისაა, რომ უფრო ცისკრუნდება და ცხოველდება ხოლმე სწორეთ მამინ როდესაც მის მსახურს, მის მოციქულს, მის გუშავს ეს სიცოცხლე ენშობა ხოლმე უხეში პირებისაგან. ამასი დაგვარწმუნა ილიას სიკვდილმა დაქსქსულვებს, დაბნეულვებს, ურთერთის არმცნობებს ილიას სიკვდილმა გაგვიღვიძა ეროვნული შეგნება, ილიას მოკვლამ გაგვიღვიძა ერთობა, ყიწამურის ველზე დანთხეულმა ილიას სისხლის თვითეულმა წინწყალმა ამოისროლა უშველვებელი ხე მამულის წინაშე ქართველთა შეერთება-შეკავშირებისა, ილიას სიკვდილს უნდა მიეწიროს, რომ დღეს ქართველობა ყურანის მტევანივით შეკრულია მამულის სიყვარულით რომ ილიას მოძღვრებას მხარში უდგანან ქართული პოლიტიკური პარტიები და დიდებულ მოძღვარს უბასუხებენ რახნა აყვავდება მამული საყვარელია“.

დღევანდელი უმაგალითო ომის ზარბაზნების გრილ-ქუხილი თითქოს ბექტეს აკრავს

ილიას მოძღვრებას და გვიკარნახებს: ფეხზე დადებით დიდნო და პატარანო. მოუბოეთ სამშობლოს თავისუფლება და ძილს ნუ მისცემთ თქვენს თვალებს, ვიდრე არ გამოსკედავთ მის ბედნიერებასო და სხ.

მაშ ხელი ხელს მივსცეთ ქალმა და ვაჟმა, ძვირფასნო მსმენელნო, და მხარ და მხარ წავიდეთ სამშობლოს განთავისუფლებისაკენ. ეს გაუშთელებს ილიას ტყვიით განხეთქილ

შუბლს, ეს მოგვიხეკავს შეგნებული ერის შვილები სახელს და ეს იქნება თანამედროვე წამთან შეხამებული საქციელი. ისმინე ქართველო! დღევანდელი დღე დიდებული სიონის ზარის რეკავა, რომ თავი დასდო საყვარელი სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის!...

თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე.

გესმის სამშობლოვ?..

წინად, როდესაც უცხო ქალაქში უცხოთა შორის ობლად მავალსა, სამშობლოსათვის სევდით მაშვარალსა, ანაზღუფლად ერთხელ ათასში ხმა მშობლიური შემესმებოდა,— გული სიამით ამეგებოდა და მიხაროდა.. და ვნეტარებდი; მოძმის ძლივს ხილვით თვალი სტკებოდა და აღტაცებით მას ვუყურებდი, თითქო ვხედავდი კვლავ მშობელ ცასა, კვლავ ჩემიანნი მებვივნენ გარსა!.. დღეს-კი ომია რაც ეს საზარი, რომ არ აქვს ბოლო, არ აქვს საზღვარი, ხშირად ჩვენებს გხედები მთელ გუნდებს მაგრამ, როდესაც ვუშვარ წარსულსა, მშრომელ ნიდავს გაშორებულებს და სადღაც ომში მიმავალებსა, ვაი, არა თუ არ ვგრძნობ სიხარულს, უფრო ვლონდები და ეს სიტყვები, მათი გულიდგან ამომსკიდარები თითქო მესმისო:

„გადავც მამულს, რომ სალამს ვუძღვნით მისი შვილები, შორს სასიკვდილოდ განწირულები, და, დე, ჩვენ მოვკვდეთ, არ გვენაღვლება, ოღონდ მას ერგოს კვლავ აყვავება სხვა თავისუფალ მხარეთა შორის, ვით საქართველოს თამარის დროის“. . გესმის, სამშობლოვ უკანასკნელი შენის შვილების სალამი წრფელი და ცდილობ, მათი სისხლი ზღვად ქმნილი, ტყვილად არ იქნეს შენთვის დაღერილი? . 1916 წ. ქ. ერევანი.

დუტუ მებრელი

ტიჩილი თეატრზე

ქართული ხაერთრო დარბაზის აშენების საქმე.—სახემწიფო თეატრის საკითხი,—ქართული ოპერის მოწყობა.—ქართული დრამა.

ამ რამოდენიმე წლის წინედ დიდი უბედურობა დაგვატყდა თავს: ჩვენი დაუღვერობის გამო დაგვიწვა თეატრი. დაობლდა ქართული ხელოვნება. მაგრამ დამწვარს ხომ აშენება უნდა? და აი დაიწყო უხვი შემოწირულებანი. შესდგა კიდევაც განსაკუთრებული კომისია. საქმე კარგათ მიდიოდა. მაგრამ დახეთ მეორე უბედურობას. უცებ შეგროვდენ, დაადგინეს, რომ ვინაიდგან მუშის ხელი და მასლა გაძვირდომ, ამიტომ თეატრის დარბაზის აშენება გადიდოს, სანამ ყველაფერი გაიფდებომ. კომისიაც გაუქმდეს, აღარ არის საქირო. ვასაც სურს შემოწირულება, ისე შემოსწიროსო.

ხედავ მკითხველო, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქართველებმა ყოველ დაწყებულ საქმის დაბოლოება არ ვიცით. ვგ ჩვენი ეროვნული სენი გახლავთ. თუ კი არ სურდათ საქმის გაკეთება, რადეს არსებდნენ კომისიებს?

დღევანდელი დრო, ფულის დროა. უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით, თუშცა აუწერელი სიძვირება. ჩვენი დემოკრატია რევოლუციამ ცოტად თუ ბევრად წელში გაშართა და იგი არ დაიშურებს თავის წვლილის შეტანას სათეატრო ფონდისთვის და რომ ქართველ დემოკრატებს ქართული თეატრი უფრო რადმე მიაჩნია და მეტ პატივს სცემს, ამის მტკიცება არაა საქირო.

ჩვენი მოხელენი და ვაქრები შეიძლება ითქვას, რომ ომში არ გააღარბია. არც ისინი დაიშურებენ თავის წვლილის შეტანას, თუმცა მათთან მეტი სამუდამოთ დაგვიკირდება ვიდრე სხვებთან.

ასეა თუ ისე, დრო ძალიან ხელსაყრელია და უნდა განახლდეს ფულის შეგროვების საქმე. ვინ უნდა ითავოს ეგ? ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ და ქართვე. მსახიობთა კავშირმა. აი სწორედ ამათი საქმეა შესაფერი ორგანიზაციის მოწყობა.

გამართეთ საღამოები და წარმოდგენები კლუბებში, დანიშნეთ ცალკე ქართული სათეატრო დღე, დაარსეთ საქართველოს დაბაქალაქებში კომისიები, გამოუშვიო მოწოდებები და ამ რიგათ მოგროვდება საქირო თანხა. თორემ ხელ დაკრფეილნი, რომ ვისმდეთ, არავინ მზათ მზარეულს არ მოგვიტანს.

შეშ მუშაობა ამხანაგებო, კმარა ძილი, მოაწყვეთ ორგანიზაციები ამ დიდ საქმისთვის. საზოგადოებაც დიდათ დაგეხმარებათ!

ქართველი ერი უთეატროდ ვერ იცხოვრებს!

* * *

ცოტა რამ „სახელმწიფო“ თეატრზე. როგორც ვიცით ბ-ნ ევლახიშვილს ძველ დროსვე მოუსწვრია ხელშეკრულობის დადება თამამშოვებთან და ეხლა თეატრი ხელში ჩაუგდია. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ითხოვა: კვირეში ერთი დღე მაინც დაგვითმეო, მაგრამ ევლახოვმა უპასუხა 1800 მანეთს გადავხდევინებთო. თუ კი შენობის ქირა ამდენი უნდა გადინახდეს დრამ. საზ-ამ მაშინ ხომ ბილეთების ფასი მიუწდომელი იქნება.

ეგ პირდაპირ დაცინვაა, მთელი ერის მასხარად ავღება.

მოგეხსენებათ ქართულ წარმოდგენებს ესწრება განსაკუთრებით ქართველი დემოკრატია და მოწათეობა. ქართველ მცხოვრებლებში რვა მეათედს დემოკრატია სქარბობს და აბა სად შეუძლიათ მათ ამდენი ფულის გადახდა. მ-ხდა რევოლიუცია, დაიხზო ძველი სამეფო და ყველა სახაზინო დაწესებულებანი ვადიქცენს სახელმწიფოს ანუ საზოგადოების კუთვნილებად.

ეგ თეატრი უნდა იყოს ინტერნაციონალური თეატრი და არა მარტო რუსების. იქ უნდა ქქონდეთ ალაგი ქართულ, თათრულ, სომხურ და რუსულ წარმოდგენებს. აგრე ივო დაჯგენილი საზოგადო კრებაზე, რომელიც გაიმართა ყოფილ სახაზინო თეატრში, რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა წყდებოდა თეატრის ბედი. (გრ. ღიასამაძის წინადადება)

მაგრამ დღეს რას ვხედავთ? გამოიცვალა სიტყვა „სახაზინო“ და ფაქტიურად კი ისევე სახაზინო რჩება და არა სახალხო: დემოკრატის თოფის გასროლის მანძილზე არ მიუშვებენ.

ამ სახელმწიფო“ თეატრს ძველებურად დაგებატრონენ კერძო პირნი, რომელნიც თავის ჯიბეს ისქელებენ და აღგილობრივ მკვიდრთა ინტერესებს ფებ ქვეშ ქელავენ. რას ნიშნავს ყველა ეს? ნუ თუ რევოლიუცია მიტომ მოხდა, იმოდენა მსხვერპლი მიტომ შესწირა ქართველმა დემოკრატამ, რომ მის მოპოებული უფლებით ევლახოვებმა ჯიბეები გაისქელონ?

„სახელმწიფო“ თეატრი უნდა ჩამოერთვას კერძო პირებს და გადაეცეს საზოგადოებას. დროა ჩვენმა დემოკრატიაშაც იხილოს თავის მშობლიურ ენაზე მხატვრული წარმოდგენები.

მკითხველო, შენ გაგეცინება და იტყვი: ვინ გვკითხავს ჩვენ, უჩვენოდაც გადაწყვიტეს ევლახოვებმა ეგ საკითხიო. ამაზე იცი რას გიპასუხებ: იყო დრო, როდესაც ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებებს ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ დღეს ეგ დრო ისტორიას ჩაბარდა. ძალა და უფლება დემოკრატის ხელშია. დღეს ვაგონებთ ჩვენს მოთხოვნილებებს და თუ არ აგვისრულდა და ზურგიც ვაქციეს, მაშინ სხვა ენაზე უნდა დავლაპარაკოთ.

* * *

წარსულ წერილში საუბარი მქონდა ქართულ ოპერის შესახებ. ერთმა ნაცნობმა მომღერალმა შემომჩივლა: მომღერლები ბევრნი

გყვანან, მაგრამ საოპერო რეპერტუარი კი არა გვაქვსო.

არ არის მართალი. ჩვენ შეენიერი რეპერტუარი გვაქვს. აი ჩამოვთვალოთ ნამდვილი ქართული ოპერები: ა) „თქმულება შოთა რუსთაველზე“, დ. არაყიშვილის, ბ) „აბესალომ და ეთერი“ ზ. ფალიაშვილისა. გ) „პატარა კახი“ გ. სულხანიშვილისა, დ) „თამარ ცხიერი“, ბალანჩივაძისა, ე) „ლალიტი“ იპოლიტ-ივანოვისა და სხ. განა მკითხველო ეს რეპერტუარი არ არის? ჩვენ მხოლოდ ინციტიავა და ორგანიზაცია არა გვაქვს. „ქართულ კლუბს“ მსგეურნი რუსულ ოპერის შედგენას დროს ანდობენ და ვინ უნდა ითავოს ეგ საქმე? ქართვ. ფილარმონიულმა საზოგადოებამ. ეგ ერთად ერთი ქართული საშუსიკო დაწესებულებაა ჩვენში. მას სათავეში მეტად სიმპატიური პირნი უდგანან, როგორც: ბ. მირიანაშვილი, ვ. ფალიაშვილი და მე მგონია ამათ უფრო უნდა აინტერესებდეს ქართულ მუსიკის საქმე და შრომას არ დაზოგავენ დიადი საქმის მოსაწყობად. ამ საზოგადოებამ უნდა მოიწვიოს ქართველი მომღერლები, დასი შეადგინოს და შენობაც გახლავთ: ქართული კლუბი და ხანდისხან სახალხო და სახელმწიფო თეატრი.

მაშ ვიქონიოთ იმედი, რომ საქმეს დროით შეუდგებიან ვიდრე გვიან არ არის! საქმე დაწყება და დანარჩენში საზოგადოება მოგვეხმარება.

ზამთრის სეზონი გვიახლოვდება და ჩვენ დასიც კი არა გვყავს შემდგარი. ცოტათ თუ ბევრად თვალსაჩინო მსახიობებს პროვინციელები დაგვტაცებენ და ჩვენ დავერჩებით პირში ჩაღო-გამოვლებული. რასაკვირველია, სახალხო სახლში გვექნება ერთი დღე კვირაში, კლუბშიაც დაგვიტოვებენ. „სახელმწიფო“ თეატრი თუ ღარჩა სახაზინოდ ისევ, მაშინ რასაკვირელია ახლოსაც არ მიგვიკარებენ ევლახოვები და თუ ჩვენ გაბედულად, სხვა ადგილობრივ ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად მოვითხოვეთ, მაშინ შესაძლებელია ევლახოვის „კონტრაქტი“ ხელ ახლოდ გადა-

თვლიერონ. ამითი მეგვიძლია ეგ რევოლიუციით მოპოებული ხალხის თეატრი ხალხსვე დავეუბრუნოთ... და ამ რიგად გავანთავისუფლოთ თეატრი სპეკულიანტებისაგან.

რუსეთში მოღვაწეობს ჩვენი მცხოვანი მსახიობი ვლ. მესხიშვილი თავის ნიქიერი ქალიშვილით როგორც მესხიშვილს გადუცია ქართველ სტუდენტებისთვის, მის პატივ საცემლად ბანკეტის გამართვის დროს, თურმე ნაწყენი ყოფილა ქართველ საზოგადოებისა, რომ მან იგი მიივიწყა, არ მიიწვიეს სათამაშოდ და ამ გარემოებამ აიძულა რუსეთში წასულიყო. ჩვენი მოვალეობაა მოვიწვიოთ დიდთ პატივცემელი ვლ. მესხიშვილი თავისი ნიქიერი ქალიშვილით ქართულ სცენაზე და დეე თავანთი იდეალური თამაშით დაამშვენონ ჩვენი სცენა.

მაშ კმარა სიტყვები, შევუდგეთ საქმეს!

სგ. წერეთელი

„აქეთ-იქით გამარჯობა!“

დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 34.

VIII

მიხაკა უსაზღვროდ სარგებლობდა ლაზარეს მებოზლური კეთილ-განწყობილებით. რა დროსაც და რისთვისაც უნდა დაესაქმა მას, ლაზარე ყოველთვის მზათ იყო და არც ერთხელ, განგებ რა არის—განგებაც-კი არ მიუღია მისაგან უარის თქმა. უფრო-კი ხშირად ქალაქში სიარული უხდებოდა ლაზარეს მიხაკას ძმასთან, და მიჰქონდ-მოჰქონდა სოფლიდან ნობათებო, ქალაქიდან სასყიდლები. ალბად ახლაც უნდა გაეტანებინა ლაზარესთვის ჩვეულებრივი ნობათები ან წერილი, მაგრამ, როცა მოიკითხა მიხაკამ ლაზარე ამეზის გარდასაცემად, ლაზარე უკვე შუა გზას იყო გასული.

— ამბავი ლაზარე? ჰკითხა მიხაკას ძმამ ლაზარეს მას შემდეგ, როცა აგამარჯობისა თქმაზედ პასუხი გასცა.

— მშვიდობა შენი კირიზე!

— მშვიდობას რა სჯობია! მაგრა რამე

გამოგატანა ჩემთან მიხაკამ? ან რისთვის გამოგგზავნა?

— არაფერი გამოუტანებია, შენი ქირამე! გუშინ შემხვდა ბინდისას და მითხრა, ხვალ ქალაქში უნდა წახვიდეო და მეც აბა რას დავზარდები! ჯერ არ გათენებულყო, რო გამოუდები გზას. მიხაკას არაფერი უთქვამს ჩემთვის, თუ უნდა გაგატანო რამეო; არც არაფერი დაუბარებია.

— ჰო, ეხლა მივხვდი, რისთვისაც გამოგზავნიდა. უთხრა იოსებამ, ცოტა დაფიქრების შემდეგ.

— მე იმან ამ წინაზედ მთხოვა, ერთი ქვა-მარალი გამომიგზავნეო და ალბად იმისათვის გამოგზავნიდა. ხომ წაუღებ, რომ გატანო ერთი კაი მარილის ქვა?

— რატომაც არ წაუღებ იოსებჯან! მარილის ქვას კი არა, მთელი ქალაქიც რომ ამკილო ზურგზედ და გამატანო მიხაკასთან, იმასაც კი მთლიანად და უკლებლივ მიუტან, და, როგო, მარილის ქვის წადებას ვერ მოვახერხებ და ან დავზოგავ ჩემ თავს მიხაკას გულისათვის?

— კარგი და პ. ტიოსანი.

მეორე დღეს ლაზარემ მაიხადა თავისი ტყავის ქუდი, დაიფინა მარცხენა მხარზედ და შემოიღო ზედ მარილის ქვა. ხოლო, რომ სიმძიმე მთელი ტვირთისა მარტოდ მარტო მარცხენა მხარს არ დასწოლოდა, მარჯვენა მხარზედაც გაიღო თვისი ხელში საჭერი კომბალი, რომლის წვერი ამოსდო უკანიდან მარილის ქვას და ამ მოხერხებით უქაფრებდა მარცხენა მხარს ტვირთის სიმძიმეს და ვადმოსქონდა ნაწილი სიმძიმისა მარჯვენაზედაც. საზოგადოდ ლაზარე, როგორც ხშირათ იკვეხბოდა თითონვე „საზრიანი“ კაცი იყო და მოხერხებაშიც მას ცალი არ ჰყვანდა.

მარილის ქვით დატვირთული ლაზარე ჩქარის ნაბიჯით მიეშურებოდა სოფლისაკენ და მის თავპირილამ წურწურით ჩამონადენი ოფლიც გზაზედ მის კვალს აღბეჭდავდა. რასაკვირველია ამავე დროს ლაზარე არ იფიქრებდა თავის „მართებულობას“ და ისე მოიტანა სოფელში მარილის ქვა და ჩააბარა

პატრონს, რომ არც არავის ეხლა დაუსწვრია მისთვის „გამარჯობის“ თქმა.

IX

ოფელში გაწურულმა ლაზარემ ხენეშით შეიტანა მიხაკას სახლში მარილის ქვა.

მიხაკამ ეშმაკურად გაიღიმა და ჰკითხა:

— კაცო, ლაზარე, რად წახვედი უჩემოდ? უნდა წიგნი (წერილი) და ნობათი რამ გამეტანებინა ჩემ ძმასთან. კიდევ კარგი, რომ ვარაუდით მიმხვდარა და გამოუტანებია შენთვის ის, რაც მინდოდა მე დამებარებინა. ერთიცა ვნახოთ, ვერ გავგო, რისთვისაც გავგზავნე და ცარიელი დაებრუნებინე!

— ცარიელი რა, ველარ წავიდოდი თუ მეორედ? შენ ხათრიჯანი იყავი მიხაკჯან, რომ ლაზარე შენ არასოდეს დავზარდეს ქალაქში წასვლაზედ კი არა, თუნდა, აი რო იტყვიან დაუთალავში!

— მე შენ საიქაოდ გავიგეტები!

— ჰო, ვიცე, არ გამიმეტებ! მაგრამ არ კი დავზარდებოდი და არც უარს გეტყოდი, იქაც რო გავგზავნე.

— აბა მოდი და კაცმა არ დააფასოს შენი მეზობლობა!

— მა რა ექნათ მიხაკჯან, თუ ერთი-ერთმანეთს იოლას არ წაიყვანთ! წარმოსთქვა ლაზარემ ეს ისეთი სიამოვნების კილოთი, თითქოს მას რაიმე ძვირფასი განძი შეემატაო.

— ახ, რა კაი ლაზარე იქნებოდი, და როდ სლა არ იყავ კარგი?, რომ უჩემოდ არ წასულიყავი და წიგნი წაგეღო! მართალია ეს მარილის ქვა გამოუგზავნია, მაგრამ ერთი სხვა რამეც უნდა გამოგგზავნა,—ის უფრო საჭირო იყო ამ უამად ჩემთვის.

— საჭირო იყო და რასა მზოგავ? დაწერე წიგნი და ხვალვე ქალაქში გავჩნდები! ეხლა აღარ წავალ უშენოდ. რაექნა, კეკიანი კაცი კია ი იოსებმა და რატო ის მეორე საგანი კი ველარ გაიგო, რო ისიც გამოეტანებინა!

X

უკან დაბრუნებისას ქალაქიდან მარილის ქვით დახურულ ბაზარზედ აღარ გამოუვლიო

ლაზარეს. მიუხედავად ამისა მისი სახელი იქ როგორც პირველ, ისე მეორე, მესამე და შემდეგ დღეებშიაც გაისმოდა განუწყვეტლივ.

თუ ვინმე სოფლელი კაცი შესდგამდა ფეხს ბაზარში ისე, რომ სავაქროდ კი არავისთან მისულიყო, არამედ გზად გაველო მარტო ბაზარზედ; ან სავაქროდ მისული ერთ მოვაჭრესთან, ვერ მოუტირგდებოდა მას და მეორესთან გადავიდოდა—მოცლილი ბაზრის ბიჭები, და ხშირად მოზრდილნიც, და შუახნისანიც, დასძახებდნენ მას: „ლაზარე!“.. „ლაზარე“... „ლაზარე“... .

დახურულ ბაზრელი ბიჭებიდგან სხვა ბაზრის ბიჭებმაც გადაიღეს „ლაზარეს“ ყვირილი და ძრიელ მალე მთელ ქალაქს მოედო მოდათ ეს ყვირილი: .

დღდა ქალაქს სხვა ქალაქებშია, დაბებშია, და სოფლებშიც კი შიშბაძეს და სახელი „ლაზარე“ გაისმოდა ყველგან.

როგორც მოედანი გაიფარჯოვა ამ მოდამ, ისე ყიყინის საგნად თვალში ამოსაღები ხალხის რაოდენობაც გაიმრავლა. თუ წინად მარტო გაბეჩაფებულ სოფლელებს ეძახდნენ „ლაზარეს“, შემდეგ აღარ არჩევდნენ. საკმარისი იყო გაველო ვისმე უცხოს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, და მიექციათ თავისზედ „მოდის“ მოყვარულთა და მიმყოლთა ყურადღება ან ჩაცმა-დახურვით, ან სიარულით, ან სხვა რითიმე, რომ დაეცათ მისთვის ყიყინა: „ლაზარე!“... „ლაზარე“... „ლაზარე!“... .

თვით ნამდვილი ლაზარე კი სტკებოდა და სიხარულით ცათა ფრინვას ეკიდებოდა, როცა მის სახელს ჰყვიროდნენ. და როგორ გაორკვეცდებოდა მისი სიხარული და აღმაფრენა, თუ იგი წინაგრძობას გამოიჩინდა და სიცოცხლეშივე გაითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მისი სახელი დიდხანს გაისმოდა კიდევ მაშინაც, როცა იგი მიწას აღარა ჰლახავდა.

მაგრამ ბედი აღამიანებისა გაუტანელია და ლაზარეს სახელსაც ვერ ასცდა ეს სიმუხთლე ბედისა. გავიდა დრო, მოდამ თავისი ეამი მოქამა და გადავარდა—მიეცა დავიწყებას ლაზარეს სახელიც.

ხოლო მარილის ქვის ამბავი კი დღესაც დარჩენილია ხალხში და ხშირადაც მოიგონებენ ხოლმე.

მელანია.

დაფხრეწილი ალაბი

(თანამედროვე სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

1

— ე რეები ხდება, კაცო! მე ჯერაც არა მჯერა. ნეტა მართალია, თუ ტყუილი ყველა ეს, რაც მესმის.

— რა დროს მაგაზე ლაპარაკია. ხვალ მიტირგი გვაქვს. ნახე რა ამბავი გვექნება-მთელი სოფელი რომ შევიყრებით. ჰაი დედისა, სად არის ახლა ჩვენი წირბლიანი ვასილა პრისტავი! თუ ძველი დრო იქნება, ნახამდით იმის მათრახის ტრიალსა, და!

— მე შენ ვითხრა ჩვენისთანი გლებ-კაცს საცემად არ ჭაიმეტებდა, აი!

ასე ლაპარაკობდნენ სოფლის კარგა მოზრდილ საკანცელარიო ოთახში შეკრებილი რამოდენიმე გლებ კაცი. მობაასეთა სახე გაკვირვება-სიხარულს გამომეტყველებდა, ლაპარაკი შეეხებოდა რუსეთში მომხდარ რევოლუციას.

— აკი არ დამავიწყდა. ე ვერანი ჯინი როგორ იწერება.

წარმოსტევა ერთმა იქ მყოფთაგანმა, რომელიც ფანჯარასთან მამჯღარიყო, წინ წითელი ჩითის კარგა მოზრდილი ნაქერი გადაეშალა და ზედ რაღასაც სწერდა.

—ს...ა...ქ...ა...რ...თ...ე...ე...ლ...ო...ს გ...ა...უ...მ...ა...რ...

ჩათვლით წაიკითხა მის მეზობლად მჯღომმა გლებმა ჩითის ნაქერზე დაწერილი და თითონაც ჩაფიქრდა. უნდოდა წარმოედგინა ჯინის გამოხატულება, მაგრამ ამაოდ.

— დაიცა, დაიდა დაიწყო ლაპარაკი მინ ჯინის დაწერა მეც ვიგოდი. აი სალდასტში რომ ვიყავი, მაშინ ვისწავლემ, მაგრამ ესე უცებ ვეღარ..

— ჰა, ტა-ტა-ტა! მოვიგონე, მოვიგონე! — წარმოსთქვა ისევ ფანჯარასთან მიმჯდარმა მწიგნობარმა გლეხმა და ხელი წითელ ნაქერზედ აათამაშა.

ფანჯარიდან შემოდგარი სხივი წითელ ნაქერს მარცხნივ გაჰქცეოდა და თავს დასტრიალებდა ოთახში შეკრებილ გლეხკაცობას.

სახლის კარი წამ და უწყუმ იღებოდა — შეკრებილებს კიდევ სხვები ემატებოდნენ. ზოგნი გატაცებით ლაპარაკობდნენ მომხდარ ამბებზე, ზოგთა ყურადღება კი სავსებით მიეპყრა ფანჯარასთან მიმჯდარის მუშაობას.

— ჰა, აბა რა ჰქენი. ჯერ ვერ გაათავე?

შეეკითხნენ მწიგნობარს რამოდენიმე ხლად შემოსული სოფლის კაცი.

— მზად არი.

წარმოსთქვა ფანჯარასთან მიმჯდარმა და ზეზე წამოდგა. მწიგნობარს ვერ გაარჩევდით დანარჩენ გლეხებისაგან. ისიც მათსაებრ ფარაჯით და ქალამნებით იყო გამოწყობილი ზეზე წამოდგომისთანავე წითელი ჩითი ხელში აიღო, კარგა გაშალა, ამაყად გადაზედ გადმოხედა თავის მეზობელ გლეხკაცებს და დიდის აღტაცებით ხმა მალლა წაიკითხა იმაზე დაწერილი:

— საქართველოს გაუმარჯოს! გაუმარჯოს მუშა-გლეხ ხალხს.

— გაუმარჯოს!

იგრიალა უცებ რამოდენიმე ხმამ,

ალამი უკვე მზადა ჰქონდა სოფ. წ—ს თუმც ალამისთვის უბრალო წითელი ჩითის მეტი ვერა იშოვეს რა და ზემო მოყვანილი სიტყვებიც მასზე ისე იყო დაწერილი, რომ წაკითხვას მხოლოდ დამწერი თუ მოახერხებდა, მაგრამ დიდად კმაყოფილი იყო სოფელი ამ ალამით. გლეხკაცობამ წინასწარ ითათბირა იმაზე, თუ რა დაეწერა ალამზედ და გადაწყვიტა ალამზე წერებულები სწორედ ის, რაც მწიგნობარმა გლეხმა ისე თავმომწონებით წაუკითხა თავის მეზობლებს.

ახრია იყო დაეწერინებინათ დიაკვნისათვის, მაგრამ დიაკვანი „ძველი რეჟიმის“ კაცად ითვლებოდა და ამიტომ მას არ მიმართეს. რაც შეეხება მწერალს, ის თავის წარსულ „მოღვაწეობისთვის“ ერთი კვირაც არის.

გომურში გახლავთ მოთავსებული, ვინაიდან მას ვერ უშველა წითელმა ფარის ნაქერმა, რომელიც გულზე, მკლავზე და ქედზე ჰქონდა გაკეთებული დასამტკიცებლად თავის უკიდურეს რევოლიუციონერობისა.

ხვალ ეს ალამი უნდა გაიტანონ ეკლესიის მოედანზე. იქ მიტინგია დანიშნული — დანიშნა თითონვე სოფლის საზოგადოებაში აღსანიშნავად ნიკოლოზ მეორის ტახტის ჩანგრევისა.

რამოდენიმე ახლო-მახლო სოფელში მიტინგები უკვე მომხდარიყო და ხალხს თავისუფლება ედღესასწაულა. წარსულ წლების მოძრაობაშიც ს, წ — იმხურვალე მონაწილეობას იღებდა და ახლაც არ უნდოდა ვისმე უკან ჩამორჩენოდა,

დ. ლუჯაშვილი

(დასასრული იქნება)

ს ი მ დ ე რ ა

ტიალი წუთისოფელი
ჩარხია მუდმივ მზრუნავი,
გუშინ შენ იჯექ მალლობზე,
ვითომდა ჩემზე მზრუნავი,
დღეს მე ვარ ბატონ-პატრონი,
შენ — მონა, დაბლა მღუნავი!.

* * *

წყეულიმც იყოს სიცოცხლე
ასეთი გაარმებული,
დღეს რომ ერთს აღხენს, ხვალ სხვასა,
ძმის სისხლით გაავზნებული, —
რასაც ვეძებდი, ვერ ვპოვე,
დავალ კვლავ გამწარებულნი!

იზიძე

შარიამობის—7—1917 წ.

სოფლის მიტინგზე

სურათები ერთ შოქმედებად თანამედროვე ცხოვრებადგან

(დასასრული იხ. „თ. და ც.“ № 34)

მარტ. (დუქნიდან შეთქმულის კილოთი მოუძღვება სტუდენტს და შედექის) აბა ხომ გაიგონეთ: საქართველოს ანტანომიას გაუმარჯოსო! იცით რა არის ანტანომია? რომ არ იცით!

სტეფ. ჰო და რა არის: საქართველოს გაუმარჯოსო! განა ჩვენ კი საქართველოს შეილები არა ვართ?

მარტ. მუნდრეგ! მერე იცი საქართველოს ანტანომია რო მიიღონ, ჩვენ რა მოგველის? არც ერთ სომეხს არ გავვიშვებენ აქა: სუყველას გაგვრეკავენ?

სტეფ. რაიო, გაგვრეკავენო! სადა, სად უნდა გაგვრეკონ?

მარტ. რა ვიცი, მამაჩემთანა! რა კი ანტანომია იქნება—აქ აღარავის ედგომება!...

სტეფ. ეგ ვინა სთქვა?

მარტ. ვინა? იმ ღამეს ტერტერასთან არ იყავი, ის ქალაქიდან მოსულმა რა ილაპარაკა: ანტანომია არ მიიღოთ, თორემ სომხების საქმე გაუფუქდებაო. ახლა ტერტერას ქაროზი გაიგე? ეგ უბრალო ტერტერა კი ნუ გეგონება! დიდი ნასწავლია. მაგას მალე ქათლიკოზობას მისცემენ.

სტეფ. შენი არ ვიცი, მარტირუზ, და მე აბა სადაური სომეხი ვარ! რა მიგავს სომეხსა? თუ იმას იტყვი, რო ხუთიოდე წელიწადია, რაც სააღდგომოთ და სანათლიღებოთ ტერტერა სახლს გამინათლავს ხოლმე, მე ხომ იმისი ინჩიც არ გამეგება... მამა-პაპით საქართველოში ვართ დაბადებული, მუდამ ქართველთა წმინდა გიორგის ეკლესიაში დავდიოდით, ყოველწლივ კიდევ ოქრო-კარიანთ სამებაში ვლოცულობთ ხოლმე.. დედა ჩემი ქართველი ვაზიანთ ქალია, მეც ქართველმა მომნათლა,—ვგნახია და აქა მაქვს. ახლა ვინ გამიბედავს მითხრას, შენ, საქართველოს შეილი არა ხარო!.. აბა ერთი ბრუნდეთ შემომხელოს ვინმე?

მარტ. მაშ შენი გვარი არ გწამს, გვარი არა გაქვს?

სტეფ. გვარი? გვარადაც წყალწმინდაშვილი ვარ!

მარტ. წყალწმინდაშვილი კი არა—წყალწმინდიანც... მაგას არ ვამბობ! ემე, შენი ნაცია, შენი სურფ-კარაპეტი...

სტეფ. ნაცია-მაცია რას ჰქვიან, არ ვიცი. მაგრამ თუ იმაზე დამედავებინ, ტერტერასთან დადინარო, იმასთან აღარ ვივლი, ისევ წმინდი გიორგის ეკლესიის აბრამ მღვდელთან ვეზიარები. მორჩა და გათავდა. ვითომ ღმერთი მიწყენს?

მარტ. მაშ ის გინდათ რაღა, რომ ერთი მუქა სომეხი ამოგველიტონ! გაგვრეკონ?

სტეფ. აბა, დიდება შენთვის ღმერთო! თუ სომხობაზე შენა სდებ თავსა—არ ვიცი შენ მართლაც სომეხი ხარ. შეილოსა, რა, სულ ათი თხუთმეტი წელეწადია რაც მოსულხარ, ჩვენ-კი, თუ ღმერთი გწამს, წყალს ნუ აგვიმღვრევ. თუ იმას იტყვი, მე შემაწუხებენო, ვინ პირ-ძალი, შენ ჩემთან მოდი და თუ ვინმემ ხმა გაგცეს—პირში ჩამაფურთხე!.. ჩვენ თუ გუშინდელი ტერტერების ენის სისინს აგყევით, კაი მოგივა—კაი დღეში ჩვენ ჩავცვივით!

მარტ. იცი, ძეგო, ნამდვილი ძველი „რეჟიმის“ თავი გქონია! ახლა ყველა კაცი თავისი გვარის საქმეს აკეთებს, შენ კი...

სტეფ. ჰო და—ჩვენც ჩვენი გვარის საქმეს გავაკეთებთ რაღა.

მარტ. ვინ არის შენი გვარი?

სტეფ. ვინა და ქართველები!

მარტ. უჰ, იეს ქუ ქაკატ... თქვენს თავში ბზეა, ბზე!..

სტეფ. რათა მარტირუზ. აბა რათ ილანძღები? სთქვი, რა გინდა ვქნათ?

მარტ. ის უნდა ვქნათ, რომ ეგ ორატორი კატორჯიკი აქედან გავაფრთხოთ, თორემ თუ მაგან აქ ფეხი მოიკიდა, მთელი ჩვენი საქმე დაიღუბება... თქვენ ბევრი კი არ გინდათ, ერთი რო დაიძახოთ. არ „გინდა, ძირს!“ მორჩა, გათავდა. მერე თქვენი პატივისცემა ჩემ კისერზე იყოს. ხო მიცნობთ! (დუქნის ბიჭი გამოჩნდება, მარტირუზს მისეკავს) ჰა, რაო, მიტო?

მიტო. ორი ხელადა ღვინო!

მარტ. ვინა ჩვენმა სალდასტებმა? მიუტა, მიუტა... რაც ითხოვონ, მიართვი!.. (სტეფანეს) ჩვენ რაღას უდგვივართ, სანამ ხალხი შეიკრიფება, შევიდეთ თითო რამე კიდევ დავლიოთ!

ორთ ვჯ. (გამოიფხის სანქარად) გამარჯობა მარტირუხ!

მარტ. გაგიმარჯოს ორთავჯან! მაგრამ რაღა გამარჯობა! ლამის არის ე თავისუფლება ხელიდან გაგვიფრინდეს!

ორთ. როგო, როგო? იქნება იცი რამე?

მარტ. (ცხრად) კაცო ჯერ საქმე საქმეზე არ მიგვიყვანია, ახლავე გვეუბნებიან. ჩვენთვის ცალკე გავიდეთ... ვა, ერთი ცენახოთ ოსმალთ მოგვადგეს, მერე პასუხს შენ აძლევი!

ორთ. ვინა, კაცო, ვინ არის ეგ იუდის კერძი?

მარტ. ვინა და—აი ეგ კატრეიდან მოსული...

ორთავ. დახე, დახე!

მარტ. (სტეფანეს) მიბრძანდი, სტეფანე, მეც ეხლავე მოვდივარ.

ორთავ. რა ვქნა, ეგ ხომ ერთობის კაცია! ჩვენთვის არ იყო, რომ შეიდი-რვა წელიწადი სასჯელში იყო!

მარტ. სასჯელში იყო, მაგრამ ახლა ნახე? რუსებს მოვმორდეთ ისევ ჩვენს კნიაზებს ვეცმითო.

ორთავ. შეხე, შეხე!

მარტ. ანტანომია მოვითხოვოთო. იცით რა არის ანტანომია? ვა, არ გაგიგიათ! ეს არის ძველებური ბატონყმობა შემოვიდეს და გლეხები ისევ უღელში შებან!.. მაშ!

ორთ. ბიჭოს! ეგეც ფედერალებს მისდგომია! რაუქნა, ეგ ხომ წინაღ ცოციალა იყო, მეკრამიტე.

მარტ. იყო და აღარ არის..

თომა. (ხიბუხის წყევთ დუქნის წინ მარტარებთან სამომხდარ) მერე ვინა, კაცო, ეგ ხომ ჩვენებიანთ ბოლუის ბიჭია, გლეხის შვილი. კაცმა რა სთქვას ისე დიდი სწავლაც არ იმუღია, სუ ქალაქის დეპოში იყო, სანამ გადასახლებდნ და ე თავადებს რათ მისდგო-

მია! იქნება გვატყუებ და ანტანომია ბატონყმობა არ იყოს!..

ორთ. არა ანტანომია რო ბატონყმობაა, ეგ მეც ვიცი. ჯერ არის და ჩვენში მაგას ი ჩვენი კნიაზის შვილი თხოულობს ხოლმე, მეორეა—და ჩვენი მღვდელიც— შევხედო და წამოგვიბოლებს: ანტანომია მოითხოვოთო... აბა, ერთი ეგ მიბრძანე: გლეხებისთვის ეგენი კარგს ინდომებენ!

მარტ. შენ ეგა სთქვი და!.. ეგ წვერცამეტა, მართალს იტყვის, კარგს მოინდომებს! **თომა** მე ხომ ერთობისა არა გამეგება-რა, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა: ქრისტე ღმერთი ქუთით იცნესო: არა, თუ კი ე ჩვენი ღვდელი მართალს არ იტყვის, ი აქვენი ტერტერა რაღა აბრაამის ბატკანია, რა სულ იმი მზესა ფიცულობ ხოლმე!

მარტ. (ცოტა შეშვრთაფი) ვა, მაშ არ იცი რომ სხვა და სხვა... ჩვენი ტერტერა ეჩმიადინშია ნაკურთხი.. ჰო, დადექ სად რუსული მირონი, — ქართული მირონი ხომ აღარა ვაქვთ, რამდენი ხანია დავიშრათ—სად სომხური მირონი! იცი, ჩვენი მირონი ეჩმიადინში თითონ ამოდის... შეიდ წელიწადში ერთხელ თითონ ამოდუდდება ხოლმე...

სტეფ. დახე, დახე! აი დაილოცა შენი გამჩენი! (თანა და გიო გადიფლიან ხაღხისაქვს) (მარტარუხა შუერთ გასედავს).

თომა. ეჰ, გლეხის მზე ჯერ არ ამოსულა და არც ამოვა.

დღეს ერთი აზის კისერზე, ხვალ მეორე, სულ კი ვითომ გლეხებისთვის მცხოვრებენ. ნიკო ჩამოაგდეს, მიხო წამოსკუპდება..

ორთ. მაშა, მაშა!

მარტ. თქვენ არხინად იყავით ერთი ანგელოზები დაუფთხოთ და თუ მაგან აქ იბოვინოს, მარჯვენა მომკერით: ანტანომია კი არა, თავის სახელიც დაავიწყდება! წამო, წამო თითო რამე გადავხუხოთ! (დუქანში შეუძღვება)

პეტრე. (მოუძღვის ორ ბიჭს) აქეთ მოიტა აქეთ! (შემაქვთ მაგიდა) ე მანდ დასდგი, ა.. ა. ჰო, აგრე.. (ასწარებს სტეფის კუთხეშია კუდისებთან) ე სკამიც მოიტა! (სკამს ზედ

დაადგავს) აი ესეც ტრიბუნა... (კულისებში ჩაქაჩილი) სმენა იყოს, ამხანაგებო, სმენა! (კულისებში ხაღხი სდგას) მიტინგის თავმჯდომარედ გიო!—ვის გინდათ?

სმები. თავმჯდომარედ კი არა, მთელი ჩვენი ცხოვრების საბელი მაგას უნდა მივცეთ... იყოს, იყოს,

მეორე სმა. მღივნად პეტრე!.. (ხმები) იყოს იყოს!

პეტრე. ამხანაგო გიო, აბა მობრძანდი!..

ორთ. (დუქნიდან გამოდის, შავით ზიარს იწმინდავს) სწორეთ პირტია, პირტი!.. ე მარტირუხამ ძლივს უწიწაკო არაყი არ გადამაშუშხა! ისე აურ-დაურიო ე მიტინგია თუ ჩიტინგი, რო დომხალი გამოვიდეს, მიტინგი—ჩიტინგად იქცეს. (საჩქაროდ ხაღხში შეერევა)

გიო. (მაგიდასუ ავა დროშით) ამხანაგებო გმადლობთ პატივისცემისათვის! გახოვო აქნ თქვამი ყოველი სიტყვა გუოდანსმთ მოისმინოთ, ასწონ-დასწონოთ და შესაფერი დადგენილებანიც გამოიტანოთ... ამხანაგებო, შეხედეთ ე მაგ წითელ დროშებს, ჰაერში რომ ფრიალებს. ეგ დროშები დღემდის, მეფის მთავრობის წყალობით, დათალსული იყო; დღეს თქვენმა სისხლმა წითლად შეღება, რომ ბედნიერება მოგანიქოთ.. ვინ ჩაიღინა ეს გმირული საქმე? რუსეთის რევოლიუციამ. (მატრიაჩუხას კამხანია გამოდის ფანტუა—„საღდასტი“, სტუფანე, მიტუა, მეჯქა და სს. მეჯქა კიდევ იდმურცდება). რუსეთის დიდმა რევოლიუციამ უნდა დაჰბუგოს და ფერფლად აქციოს ყოველივე ის, რაც აქამდე ხალხს სულს უხუთავდა, რაც დღემდე კაცს კაცად არა სცნობდა, ერს—ერად, ხალხს—ხალხად!.. გაიმარჯვებს რევოლიუცია—გაიმარჯვებს ხალხიც... რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება კი თქვენი საქმეა... ყოველმა თქვენგანმა მტკიცედ დაიცვას თვისი ადამიანური უფლებანი, ყოველმა დაჩაგრულმა ერმა—თვისი ეროვნული უფლება—ავტონომია!

მატრიაჩუხას კამხანია. არ გვინდა, არ გვინდა!

გიო. რა არ გინდათ?

ორთაველიან (უკანდას) არ გვინდა, ეგ ფედერალების საქმეა.

გიო. დაე, ფედერალების საქმე იყოს, მაგრამ მე—ქართველი სოციალდემოკრატი გვეუბნებით, რომ თვით თქვენი ბედნიერება ავტომიის მოპოვებაშია.

ვანტუა-ჩხალდასტი* (გადაკრული, შდიაშკაბკურდზე—გუფაზე) ერთი ხელი წამავლებინეთ, რომ ანტონეა ვიდაცა თვალეში ჩავანათო!.. (მაგიდას უცბა წისღს წაქკრავს, რაზედაც გიო სდგას. გიო წაბარბადება, მაგრამ თავს შეიკავებს და ჩამოხტება, ხედავს დროშა უჭიანავს)

გიო. ამხანაგებო მომისმინე!

მარ. ღმერთმა რა ენც შეგარცხინა—შენ ამხანაგიც!

(ატუდება ჩაქაჩილი. გიოს ესევეფას)

სმები: ძირს! ძირს!

—ნუ უშლით, ილაპარაკოს, ილაპარაკოს!

მარ. ძირს ხალხის ამრევი!

სმები. ძირს!

პეტრე. გაჩუმდით, სმენა!

ვანტუა. შენი ანტონომია მანტანომია ფეხებზედაც არა მკილია... ხალხო, ერთი „სვიდეტელსტეო“ გვიჩვენოს, ნება-კი აქვს რომ ლაპარაკობს?!

მარ. (თან-და თან თავგასულო) ჰო და—ვისი მხრით ლაპარაკობს, რომ ლაპარაკობს?

(მიწვე-მოწვევა, დინანტელი, მიტუა ცდილობს, წინა-მდგომთ თავს გადმოსტეს)

მარ. (გიოს თავგასულო) შენ აქ აღვილი არა გაქვს..

ვანტუა. შენ რა „პრაფა“ გაქვს, რომ ხალხს ურევ! (უნდა გიოს ხელი სტაცოს)

პეტრე. (და სს. შუაში ჩაუფიფიან) დიად, დიად! მარტირუხას დუქანი და „აკოფი“ შენთვის ერთია. შენ ეს გირჩენია არ იმადებოდე!

სმები. ძირს! დაიქორეთ.

გიო. ამხანაგებო, მოქალაქეო! გონს მოღით, დაფიქრდით: ნუ თუ ვეღარ მცნობთ!

მარტ. გიცნობთ რომ პრავეკატორი ხარ.

გიო. (შეკრება ისე ეწვიანება რამხმა ვერ ამოუღია)

სმები. როგო ენიშნა და სმა ჩაუწყდა.

სმა. დაჰკათ!

სმები. დროშა, დროშა წაართვით (გიოს ზოგი იფარავს. ზოგი ეტანება რა დროშა წართვას. ვიდაც მუშტს გაუქნებს).

გიო. ამხანაგებო იცანით თავი, თქვენი ნუ მხეცდებით! ნუ თუ ისევ ძველი მთავრობის გამარჯვება გინდათ!

ორთ. როგორ ჩვენ მხეცები ვართ!

შრატ. გაიგეთ რა სთქვა: ძველ მთავრობას გაუმარჯოსო (მიწეგ-მწეგას დროშის წართმევა უნდათ დროშა ქანაობს გიოს დროშა მად-ხუწევა, ვიღაც ტანში ხელს უტანებს ამავე დროს თინა მარდათ ჩაერგვა, დროშის ეტანება)

თინა. არ გაბეღოთ ხელის ხლება, გზადან უღონო. (მარტირუხას) ოი, წყეულიმც იუოს, შე არა წმინდავ შენი მოსვლის დღე: ეს ხომ შენი საქმეა, შე მორიელო.. (თინას ასეთი გაბეჯულობით თითქმის უგელა მოისიბლა, პეტრე და სხვანი ცდილობენ გიო გაშორონ)

ზიო. მარტირუხ შენი გველობა კიდევ არ დაიშალე განა! (გიოს დროშისადა ხალხს გაიტანებს გაპყუება თინა რომელიც ცდილობს დროშა ხელს იგდოს).

ტაკვა. შეხე, შეხე, თინამ დროშა ხელთ იგდო!.. ჯან ქალო! შენი ქირიშე!.. დედა-კაცმა თუ გაიწია ცხრა უღელა ხარი ვერ გაიწეგსო.

შრატ. (საერთო ჩიჩქოლის დროს, ქამარზე ჩამოკიდულ მატარა უსბის დანას უცებ ამოიღებს და მიმავალ გიოს უკანადას ქურდულად შეუშად-ჯებს ჩასაცემად)

გიორი ჯარ კაცი. (მარტირუხას მავაში სწრაფად ხელს უტანებს და ხელს ქურდშივე შეაჩერებს) ამხანაგებო, აი რა უღვეს გულში ამ გაიძვერას: მოპარვით ზურგიდან დანა უნდა ჩაეცა ხალხის სიამაყისთვის.

ვანტუა. ტავარი იამუ ხულუკან.. ბეი იამუ! **გიორგი ჯარისკაცი.** ხმა გაკმინდე უფუნურო, ლოთბაზარა! ძმის გიკლავენ, ძმას; სამშობლოს ფეხქვეშ გიქელავენ და შენ კიდევ მამულის მტერს ხელს უმართავ!

ვანტუა. ია ტებე პაკეგმი!

ხმება (გარედან) რაო, გიო დასქრეს?

—მარტირუხამ დანა დასცა!

პეტრე (კულისებში) ოპ, შე შხამიანო მორიელო, პეტრეს სიყმე მოკვდეს, თუ შენ ეს შეგრჩეს! (გამოჩნდება, გამეხებით სწვდება სავულოში, ჩამოიქნევს და სტენის აქით კულისებ-

ში ფეხ-ქვეშ გაიგდებს. ხალხი შესდგება და გაიტანს)

თომა. გასრისეთ ეგ სოფლი-ყლაპია, ეგა!

ორთავჯან. მაშაა მაშა! გასრისეთ!

გიოს ხმა. (სტენის გარედ) ამხანაგებო, სისხლს ერიდენით! ჩვენს დროშას ჰარამი სისხლი არა სჭირია! საქართველო მაინც აღსდგება და გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს და ავტონომიასაც მიიღებს გაუმარჯოს მსოფლიო დემოკრატიასა და საქართველოს მშრომელ ხალხის თავისუფლებას!

ხმა (გარეგინგა ხალხისა) გაუმაუჯოს საქართველოს ავტონომიას!

თინა (შემოდის, ხელში უჭირავს წართმული დროშა წარწერთ): „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ ამაუდა მადლა აწეული მისვგენ გიო. გიორგი დაქსხვანი შდომარედ). დროშა თვისუფლების ხელთ ვიპყარ და ვინც ბიქია, თავ-ცოცხალს წამართვას! ძმანო, არღვევა ძველი ქვეყანა, იმსხვრევა საუკუნოებით შექმნილი მონობის ბორკილი!.. მაშ დავე, ჩვენი სამშობლოც აღსდგეს, მონობის ბორკილი მიღვეწ-მოღვეწოს, და წელში გაიმართოს და სხვათა ერებთან ერთათ თანასწორად ინეტაროს!..

ქალთა გუნდი. (პირაქითულ კილოზე აკაკიდან მღერაან) არჩენი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა!“ **პეტრე.** (რადენიმე გლეხის შორის) ამხანაგებო, მოისპოს მორიელის ბუნავი! (გლეხები ქვას წაუშენენ მარტირუხას დუქანს)

გიო. ხელი არ ახლოთ, ამხანაგებო!.. დაცემულზე ძალის მიტანა სირცხვილია!.. **პეტრე.** ცხვარი ცხვარია—თუ გაცხარდა ცხარიო!

გლ. გუნდ. (ძველ ქართულ ფიტს მგზავ. კილოზე სიმღერთ გადას.)
ლაშე გათენდა, ბნელეთი ველარ იუფლებს ჩვენზედა, ჩავრულთა ბენდიერების მზე ამოცურდა სერ-ზედა!

დიდება გლეხის მარჯვენას, დიდება მუშის შრომასა, ის დაამკვიდრებს ამ ქვეყნად ერთობსა და ფარდა ძმობასა!..

იოსებ იმედაშვილი

შარადა.

ყველა შენობას თანა აქვს
 გასვსვლელ გამოსასვლელი,
 შუა გასქერით: პირველი,
 მაჩუქეთ ვარ მის მთხოვნელი.
 ეხლა მონახეთ ის თევზი,
 არ ვიქნე — კი უკაცრავად,
 რომელიც გემრიელია,
 დათლილი მოუხარშავად.
 სახელს აქვს ექვსი ანბანი,
 წინიდან ორი თქვენია,
 დანარჩენი კი სუყველა
 შარადის დამამშვენია.
 სააგარაკო აღგილი
 ახლავს სამხრეთით თბილისსა,
 სახელს აქვს სამი მარცვალი —
 პირველი შარადისთვისა.
 ფედერალისტთა გაზეთიში
 ფსევდონომია მწერლისა,
 ექვს ანბანისგან შემდგარი
 უშიშარ სიტყვა მფრქვევლისა.
 წინიდან ორი ანბანი
 მომეცი გეთაყვანები,
 რო. მით შარადს შევაბა
 საძირკველი და კარები.
 ნაყოფი არის ხეხილის,
 მწიფე საქმეოდ ტკბილია,
 და მასთან მოსაკრეფადაც
 სათუთია და რბილია.
 სახელს აქვს ხუთი ანბანი,
 წინიდან ორი მქ-რია,
 თუ დაფუძრდები მ-ს ცნობა
 არც სწ. გასაჭირია.
 ეხლა გთხოვ რო მომინახო
 ჩვენს გ. ჯ. ავი მდინარე,
 დაუდგრომელი სიჭკარით
 ქუთაისს ჩ. მომდინარე.
 სახელი სამ მარცვლოვანი
 ყველა მიხვდებით მგონია,
 მხოლოდ გთხოვთ ცოტათი მაინც
 გამოაღვიძოთ გონია.

ამ სამ მარცვალში პირველი
 გინდ ქმას შიეცით, გინდ დას,
 დანარჩენი კი სუყველა
 გამოადგება შარადს.
 მაგრამ ეს არი საშიში,
 რომ წყალი ყველგან დიდია,
 და ფეხით გასვლა-გამოსვლა
 ყველასთვის მოსარიდია,
 ამ მდინარეს აქვს სამს აღგილს
 გასასვლელ გამოსასვლელი,
 და თუ რაც ქვია თქვენ თითონ,
 გვიბძანეთ მისი სახელი.
 შემდეგ შუაზე გასქერით
 მეორე გთხოვ მითავაზო
 ეგებ ძვირფასი შარადა,
 შეეკინძო, შევალამაზო..
 აჰა, შარადაც გათავდა;
 ვერ მიხვდით?? თქვენი ბრალია!..
 ვისზედაც ვამბობ ჩვენს მხარეს
 დასდო მან დიდი ვალია!..

ვარდენ ყიფიანი



ცოტა რამ ცხოვრების სინამდვილდან

(ძღვანელ ვეკლა ქალს)

ეს იყო, მაშინ, როცა გარდაიცვალა პაპანემი, რომელმაც მიანდერძა. იყავ ყოველ ჟამს ახალგაზნდა, სიცოცხლით სავსე... ლამაზი, კოხტა, თავაზიანი, სწრაფი, მარდი... და უმთავრესად კი განსოვდეს: ვეკლას კტრფოდე, ვეკლა გიჟგარდეს—მხოლოდ აწაფინ ან შეიფუარა...

განვლო დრო-ჟამმა... ცხოვრების ბედის ჩაჩხთა ტრიალმა ძინძებში, დაფლეთილ-დასხეულ ტანსაცმელში ქუჩაში გამისროლა, მშიერ-მწყურვალე...

მედგარ ყინვით აკანკალებული ვდგევარ ქვა ფენილზე... თავ-ბრუ მესხმის, ძლივს ვიმაგრებ თავს... ძლივს ვარჩევ. თუ როგორ დასრიალებენ გალაღებულთა ეტლები, ბედნიერთა გეტო-მაშინები და ზედ პირი სახეზე მაყრიან მიწა-ტალახს... ვამვლელ-ვამოვმვლელნი ზიზლით მიცქერიან...

ქალები... ქალები... პირში დამცინიან... ერთმანეთს გასძახიან: შეხედე... შეხედე... რასა ჰგავს.. ფიჰ! რა ტანსაცმელი აცვია რა ულამაზოა... ღმერთო რა საშიშია... წავიდეთ... წავიდეთ...

...მაგრამ განვლო დრო-ჟამმა... იცვალა ბედი... იცვალა იგი, რადგანაც ისიც ისევე ცვალებადია, როგორც ქალი... ქალი კოხტა... ლამაზი... და, აი, მე ისევ ქუჩაში ვარ... მდიდარი... მაყ... კოხტა ლამაზი, თავ-მომწონე, ჩემს ღერწამივით მოხდენილ ტანს ძვრფასი ტანსაცმელი ამშვენებს...

დავჭკრი... დავსრიალებ... ვმღერი მიმღერიან... ვტლრფი... მეტრფიან... და ეხლა ჩემთვის ყოველი ქალი—დაბალია, მალღი, წვრილი. ქერა, შავგრეიანი—მსხვილი, ბრმა, კოკლი, ყველა ჰარმონიულ-მომხიზლელ ქნილებას წარმოადგენს...

ქალები ღმერთო ქალები:
არა ლამაზი, რა მშვენიერი.. რა. თავ-

ლები... ჩემია, ჩემი გაიძახიან ერთად.. ღმე, რთო, ტანსაცმელი... რა კოხტა, რა ნაზია... არა, არა ჩემი ხარ, ჩემი..

მომძახიან ყოველ მხრიდან... ხელიდან-ხელში გადავდივარ... ერთი მეორეს სტაცებენ ჩემს თავს... თავ-პირს ამტვრევენ ერთი მეორეს... მე კი დაუშრეტელ ცხოვრების ნექტარს სულ ერთიანათ ვსვამ და პაპიჩემის ანდერძი სრულ დავიწყებაშია...

მიუხედავად იმისა რომ ყველა ნაცნობი, უცნობი, მტერ მოყვარე, უსუსური, ბავში, ახალგაზნდა თუ მოხუცი ყველა მიჩვევდა, მთხოვდა მიბრძანებდა... ანუ ენდობი ქალსა ნუ აყვები მას... მაგრამ მე მაინც უფრო გატაცებით განვაგრძობდი, თავ დავიწყებულ დაწყებულ სიამოვნებას...

აი შეხედე... აი, საცოდავია, სულელია-ქლს მისდევს, ქალს ენდობა, ქალის სწამს, მისდამი ტრფობა-აღერსი, ღიმილით და ვნებით შემოხედვა... ხა, ხა, ხა, რა უმწეო ყოფილა საცოდავია...

ასე მწარედ მსჯიდა ვამვლელი, მოსიერ-ნე—საქმიანი თუ უსაქმო, მაგრამ მე მაინც ვნეტარებ... ვხარხარებ... ბედნიერი ვარ... არა მაკლია რა, მაგრამ... მოღალულ-მოქანცულს არა მაქვს სიკბაბუკე ძლ-ღონე... მის შენახვასაც ვერე მთხოვდა პაპა-ჩემი...

და არის წუთი, როდესაც ყველასაგან მივიწყებული, თივ-დანებებული, ვნატრობ ქუჩას ჩემი ძველი დახეულ-დაფლეთილ ტანსაცმელით, მშიერ-მწყურვალე... მაგრამ... ახალგაზნდა... სიცოცხლე, ენერგია წარსულ დროს... და, აი, ისევ ბედმა... ზევით, უმწეო-რვალეს ბედნიერების საფეხურზე მგომი... ძირს უფსკრულში ვადამტყორცნა... ქუჩაში გამისროლა

ისევ ქუჩა... ისევ ის მშიერ-წყურვალე დახეულ-დაფლეთილი ტანსაცმელი, მაგრამ ამაყი, თავ-მომწონე, რადგანაც, ისევ ახალგაზნდა ვარ. სიცოცხლით სავსე.

და ეხლა კი სრულიად ვასრულებ პაპი-ჩემის ანდერძს. ყველა, ყველა მიეყარხართ, ყველას გეტრფით, გაღმერთებით, მაცრამ აწაფინ თქვენგანი ან მიეყარს.

შ. ხონელი

მოწოდება

ჩვენ ქ. ერძინჯანის ქართულთა ზგუფმა გაითვალისწინეთ დღევანდელი მოქმეტი, რამე-ლიც უველს ჩვენს გავალებს ვემსახურეთ ხალხის თვითშეგნებას; შევსება კი თავდება თავისუფლების. ძალის და ერთობის. უველს ეს გავალებს — შეგვექმნას ისეთი დაწესებულება, სადაც შეგვეძლება შეკრება უველს ქართველს ქართველების საერთო შეხვედრას კი საშუალება გვეცნათ ერთმანეთს. ასეთი დაწესებულება სამკითხველო: ჩვენმა ცდამ უქმად არ წაიარა. იქმნა მოწვეული ქართველთა კრება, რამელსაც დაესწრო 300-დექანის კაცი ერთხმად დადგინდნო იქმნა — დაარსდეს ქართული სამკითხველო, რომელიც უნდა იყოს ხარტის გარეშე. სამკითხველო უველს გავაწერს უველს ქართული უუნდა-გახეუბი სა-ქართველოში მუთუ ვილიტიკურ ხარტიებისა. ამ ფრად სასარგებლო კულტურული დაწესებულებისთვის საჭიროა ნიუთიერი დახმარება. ვირ-ველი დახმარება აღმოუჩინა ვირველმა კრებამ შემოწირულება აღწევს სამასს მანეთს.

თუ თქვენ, ქართველნი ჯარის კაცნი, აფიცრებო, სამსკდრო ექიმნი და მოსელებნი გაინტერესებთ ბედნიერება ქართველ ხალხის, ნუღაიშურებთ თქვენს წვდილს და მოგვეცით დახმარება ამ ფრად კულტურულ დაწესებულებისთვის. მოგმართავთ მოწოდებით, შეგერთდეთ საქართველოს მთლიან ხალხს შესაქმნელად ამ დიად ნკრევა-შენების დროს და შეერთებულის ძალით გამოეჭედათ სრული თავისუფლება.

მაშ გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს.

გაუმარჯოს თავისუფალ ერებს თავისუფალ რუსეთში.

გაუმარჯოს ავანგარდით მუთუ თავისუფალ ქართველ ხალხს თავისუფალ რუსეთში!

- | | |
|-------------------------------|-----------------------|
| ქართული სამკითხველოს გამკობა, | |
| თავმჯდომარე | } ივანე ქუთათელაძე |
| ხაზინადარი | |
| მდივანი | |
| | } დიმ. ანდრონიკაშვილი |
| | } ვაბრიელ. გოგვაძე |



ახალი წიგნი

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის ცენტრის „ხალხის თავისუფლების“ გამოცემა № 1

ვ. გომართლი

საპარტიო მდიანის თარიღობრილი

ავტონომია

ანუ მარკვეულ-თარიღობრილი

თვითმართველობა

წიგნში მოთვსებული: 1) ავტონომიის ანბანი სოფლის ხალხისათვის; 2) საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, და ტერიტორიალური ავტონომია და კლასთა ბრძოლა (ოთხი წერილი), 4, საქართველოს ავტონომია და საქართველოს ერები, 5) მუშას: 6) სოფლის ხალხს და 7) ავტონომიის სხვა და სხვაობა.

წიგნი შეიცავს 80 გვ. მავთულით შეკანულია და ღირს 25 კაპ.

წიგნთ მოვაჭრეებს დაეთმობა: 100 ცალი—20 მან,

მსურველთ მიმართონ თბილისში „ხალხის თავისუფლების“ რედაქციაში, ბაზრის ქ. არჯევანძის სახ. № 20, ალექსანდრეს ღის პირდაპირ, მეწიენების რიგზე. ფოსტით: Тифлис, Ред. „Халхის თავისუფლების“ — Ис. Имедашвили.



სახალისი ქუჩა თავად აზნ. სახლი ერთად ერთ რესტორან „კაფე პარიზს“ საზაფხულოდ აქვს ბალი, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება საუზმის, სადილს და ვახშმის მირთმევა, არის ცალკე ფანატურები და კაბინეტები. საზოგადო საუკეთესო ღირსებისა პატვისცემით სილ. გიგიბერია.

გამოვიდა და _____

_____ ისე იდება ეპელოგან

გვანი დვალის

1) საგაყუში დაწერილი სიმღერები

ფასი 40 კაპ.

2) მწარე სიმღერები

ფასი 30 კაპ.

ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამა

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ესამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმეზ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ
საბ — საღ.

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

V წმიდლება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

თეატრო-სალტერატურო სამხატვრო
კვირული შუროალი

წლიურ ხელის მომწერნი მიიღებენ
ორ კრემიას

თეატრი და სხოპრება

(წელიწადი შეხუთე)

ამოვას სრული კრემიასით

აკაკის „ნაპნები და გრძული სი
ბმეები“ ავტორის სურათებით
ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

მ. ლომთაძის „რჩული
პრები“

ავტორის სურათით, ფაქსი. და ბიოგრაფიით

უკვე ცნობილი რედაქციით

შუროალი პარტიათა გარეშა, კროგრესიული მიმართულებასა

აუთლში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დბიმწერბული და ახალაზრდანი
ჭიერა მწერლები: მგონებნი, კრიტიკოსნი, მუსიკოსები, მხატვრები

რნალის ფასი ორკე შეხუთე წელიწადში დარს 8 მან ნახევარის წლით
მას. 50 კაპ. თითო ნომერი ეპელოგან 15 კაპ ფელის შემოტანა ნაწილ-ნაწილად

შეიძლება: ხელის მოწერის დროს მ მ, 1 მისამდე — მ მ. 1-ელ ნკენისთვემდე 2
შელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნ-
ძული, № 1, ვორნცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწრთ ფული უნდა
გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлис, ред. „Театри да Цаიონის“ Г. И. И. И.
და შვილი. რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

სტამბა „სორანის“

რედაქტორ გამოცემული იოსებ იმედაშვილი